


გერმანული  
ხელმოწერა



მოდის ინგლისის ესკადა,  
მას ტარტაროზმა ეს ჰკადრა:


ამ ზღვის პირებს რომ გაჰყურებთ დურბინით,  
ნამდვილ ვერტა ესესერის თუ გინდით!





# საქრებულო

**მაისი**  
**20**  
**ორშაბათი**



1917 წ. ფრიდრიხ ადლერის გამოუტანენ სასიკვდილო განაჩენი.  
ეს განაჩენი შეითხნა ავსტრო - უნგრეთის მაშინდელმა ცნობილ შტიურკის რეაქციონერმა მთავრობამ, რომელსაც არ მოეწონა ფრიდრიხ ადლერის გაბედული ნაბიჯი ამის წინააღმდეგ. ჩვენ მე-2-ე ინტერნაციონალის წევრ სოციალისტების შესახებ გარკვეული აზრისა ვართ. მაგრამ ადლერისა თუ სხვა ავსტრიელი სოციალ - დემოკრატ თა შესახებ ეს აზრი შედარებით უფრო სხვაგვარია ზოგ მათ რევოლუციონერ ნაბიჯების გამო წარსულში, რაც შეეხება აღნიშნულ განაჩენს, იგი მაშინ გააბათილა ევროპის პროლეტარიატის მედგარმა პროტესტმა, რომლის წინაშეც სამარცხვინოდ დაიხია შტიურკის მთავრობამ და ვერ შესძლო განაჩენის სისრულეში მოყვანა. ადლერი დღესაც ცოცხალია, ხოლო ავსტრიის მაშინდელ მთავრობას კი უკვე გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი თვითონ ისტორიამ.

**მაისი**  
**21**  
**სამშაბათი**



1871 წ. პარიზის კომუნის უკანასკნელი სხდომა.  
აღნიშნული სხდომა მარტო თავისი უკანასკნელობით კი არ არის შესანიშნავი, არამედ იმით კიდევ, რომ ამ სხდომაზე გამოტანილ იქნა უველაზე უფრო საბედისწერო გადაწყვეტილება: „ან სიკვდილი ან გამარჯვება“. და კომუნარებიც ამ ლოზუნგით მოედგნენ მტრის უთვალავი ძალებით ყოველი მხრივთ გარშემორტყმულ პარიზის ქუჩებს. მთელი კვირის განმავლობაში კომუნარები სახელოვანად იკრიბებდნენ მტრის იერიშებს. ეს იყო პარიზის კომუნის უველაზე უფრო პრაქტიკული, საქმიანი და ზრუნვით დატვირთული კვირა. და ვინ იცის, ყველა წახული კვირები და დღეებიც, რომ ასეთივე საქმიანი ყოფილიყო პარიზის კომუნის ცხოვრებაში, ნაკლები სხდომები და ამ სხდომებზე ზოგჯერ გადაჭარბებული კამათი და პრედიკაციებიც ნაკლები, ხოლო მეტი საქმიანობა და მტრის შუბლში მკრთალი დარტყმები, იქნება პარიზის კომუნის ისე ადვილად ვერ დაემარცხებინა მტრის.  
ამ მწარე გამოცდილებას ითვალისწინებდა, ალბათ, ამხ. ლენინი, როცა წარმოხსენებდა თავისი შესანიშნავი გაფრთხილება ამხანაგებისადმი: „პარტია სადისკუსიო კლუბი არ არისო“. იგი უფრო პრაქტიკული საქმიანობით დატვირთული ორგანიზაცია.

**მაისი**  
**22**  
**ოთხშაბათი**



1921 წ. საქართველოს მშრომელ ქალთა პირველი ყრილობა.  
ძველი ტრადიციების ქართველ კაცს რომ მოაგონოთ შოთა რუსთაველის სიტყვები: „ლექვე ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“-ო, იგი ხბოს აღტაცებას მიეცემა და რიხით მოგვიგებს: „დავჯიხედეთ, რაები ვყოფილვართ ჩვენ, ქართველები ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, როგორი სადი შეხედულემა გვქონია ქალთა მამაკაცებთან სწორ-უფლებიანობის შესახებო“.  
მაგრამ იმავე ქართველს რომ დღევანდელ მშრომელ ქალთა შორის მუშაობაზე ჩამოუვადოთ ლაპარაკი, იგი მაშინვე ქალების მიერ მოღათ შემოღებულ თემების შეკრეპაზე მიგითითებთ და ზიზღით განზე გააფურთხებს: ვერ ურჩიდება ქალების თავზე თმის ნაკლებობას. ამავე დროს ავიწყდება, რომ ლომთა შორის, საიდნაც მოდის ტრადიციული ქართველის პროგრესული შეხედულება ქალთა სწორუფლებიანობის შესახებ, სწორედ ძუ ლომს ახახიათებს თავსა და მკერდზე ნაკლები თმა ანუ ფადარს, რომელიც, პირ იქით, უხვად ასხია ხვად ლომს.

**მაისი**  
**23**  
**ხუთშაბათი**



დღე, როცა მიმდინარე წელს გამოჩნდება სახე მთვარე.  
ყოველი მე-14-ე დღის მთვარე ხასხეა. ყოველ 28 დღის განმავლობაში იცვლება მთვარე. 28 დღე ეს მთვარის თვეა. ამჟამად მსოფლიოში დიდი მითქმა - მოთქმა არის საკალენდარო რეფორმის ირგვლივ. არსებულ 12 თვიან სისტემის ნაცვლად, გვაჩეჩებენ 18 თვიან სისტემას. შეიძლება გულუბრყვილო ხალხი სამეც მოსტყუდეს ასეთი „ხახხით“, როგორცაა 12 ნაცვლად 18 თვე, მაგრამ ტარტაროზის მოტყუება კი ძნელია: მან მშვენივრად იცის, რომ 18 თვიანი სისტემა ეს მთვარის ტრიალზე აგებული სისტემა და მეტი არაფერი. ამ შემთხვევაში ერთი, ხოლო ხან ორი დღე სრულიად გამოტოვებულად რჩება ანგარიშიდან, რაც დიდათ ხელსაყრელია ეგრედ წოდებულ „პროგულშიკებისათვის“ (სამუშაო დროს გამცდენელთათვის). ტარტაროზი იმ აზრისაა, რომ თუ ასეთი დღეების დამკვიდრებას მიმართულებით კი მოხდება რაიმე ცვლილება, მაშინ დღე, შემოღებულ იქნას 80 დღიანი 12 თვე, რასაც გადარჩება მთელი 5 და ზოგჯერ 6 დღე. მოდგენ პატივცემულმა „პროგულშიკებმა“ და იქიფონ ყოველს წელს დაუსჯელათ თელი თითო კვირა.

**მაისი**  
**24**  
**პარასკევი**



1542 წ. კოპერნიკის გარდაცვალება.  
ამბობენ, კოპერნიკი იმდენად ნახვადი და ბრძენი კაცი იყო, რომ მან მთელი გადატრიალება მოახდინა ასტრონომიაში. კოპერნიკამდის არხებოდა შეხედულება, რომ მიწის გარშემო ტრიალებდა ყველა სხვა პლანეტა და მნათობები. კოპერნიკმა კი დააბრუნა, რომ მიწა ტრიალებს მზის გარშემო. ამ დებულებას მან ააღო მთელი ახალი სისტემა, რომელიც დღემდის რჩება ძალაში.  
ტარტაროზს კი ეცინება უღვაწში და ამბობს: „არაფერი დიდი ხიბრძენ არ უნდოდა ამის დამტკიცებას. დღეს უკანასკნელმა ლომთაც კი მშვენივრად იცის, თუ როგორ ტრიალებს დედამიწა“.

**მაისი**  
**25**  
**შაბათი**



1925 წ. ცინდაოში ჩინელ მუშების დახვედრა.  
აი, აქ, ასეთი ცნობის მოთავსების გამო ოფიციალურ კალენდარში, ტარტაროზი თავის გულსწყრომას ვერ აჩერებს, რომ არ გამოხტვას იგი ცოტა ტონის აწევით კალენდარის შემდგენელთა მიმართ ასეთი ცილის წამებისათვის — ამ უკანასკნელებისაგან ქალ. ცინდაოს წინააღმდეგ, რომელსაც თამამად შეუძლია უსაყვედუროს პატივცემულ კალენდარის უპატივცემულეს ავტორებს: „თქვენ დამისახელებ ჩინეთის ისეთი ქალაქი, სადაც მუშები არ დაეხვრიტოთ, და მე თუნდაც საუკუნოებით ვზიდავ ამ თქვენ მიერ ჩემ შუბლზე ასე ვფლანჩინოთ მიკრულ ხამარცხვინო ლაქას“-ო.

**მაისი**  
**26**  
**კვირა**



1927 წ. თემთა პალატამ მიიღო წინადადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.  
ინგლისის მთავრობის ამ ხებრე ნაბიჯის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. დამატება ამანედ მხოლოდ იმისი შეიძლება რომ, შორს აღარ არის ის დღე, როცა იგივე თემთა პალატა, რომელმაც ერთხელ უკვე ხმა მისცა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტას, ალბათ, ახლა უკვე ხმას მისცემს ამ კავშირის აღდგენასა და განახლებას. საამისო ნიშნები უკვე ბლომით მოიპოვება.

მეზღირა





„სალაში“-დან ამოდის

სალაშს აქლემს ცოლს სახლში.


# „ნ ე ვ რ ა ს ტ ე ნ ი კ ი“

ამბავი ხდება ოზურგეთში.  
 საექიმო-საკონტროლო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ექიმმა ავადმყოფი გასინჯა და მიმართა თავის ამბავს:  
 — მე ვერავითარი ობიექტიური ნიშნები ვერ ვნახე, რასაც შეეძლო გამოეწვია ნერვების ასე საშინლად დაავადება. აბა ნახე, კოლეგა, შენც!  
 — მოიწიეთ, ამბანავაო, აქეთ. დაჯექით. რამდენი წლისა ხართ?  
 — ოცდა შვიდის.  
 — ცოლიანი ხართ?  
 — კი, ერთი დიუჟინი შვილებიც მყავს.  
 — მართლაც საინტერესოა ასე ახალგაზრდა ქალს ნერვები რამ გაუფუჭა!—და შინჯავა დაუწყეთ.—მანახვე თვალები, გაიხსენით გულის პიკრი. მაჩვენე გული, ისუნთქე. ღრმად ისუნთქე. გამოყავ ენა. მანახვე მაჯა... რაიმე მძიმე ავადმყოფობით ხომ არ ყოფილხარ ივად?  
 — არა.  
 — საკვირველია! აღზად რაიმე სუბიექტიური პირობებით არის გამოწვეული! გამოიტანეს დასკვნა ექი მებმა და ისევე დაუწყეს გამოკითხვა: ცოლთან უთანხმოება ხომ არ გაქვთ, ან ოჯახში რაიმე უსიამოვნება?  
 — რას ამბობ, ბატონო, უთანხმოება და უსიამოვნება კი არა, მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს სულში ვუძვრებთ.

— ღვინოს სვამთ?  
 — იშვიათად. ისე, ცოტა, სათრობათ არასდროს.  
 — თამბაქოს ეწვევით?  
 — არა.  
 — საკვირველია! არ ვიცო სწორედ რაშია საქმე? ჯამავრს რამდენს ღებულობთ?  
 — 80 მანეთს.  
 — საიდან ღებულობთ ჯამავრს?  
 — ადგილობრივ ბიუჯეტიდან.  
 ადგილობრივ ბიუჯეტის ხსენებაზე, თითქოს ბოშიმ გავარდაო, მთელი კომისია შეკრთა.  
 — აი, მიხეზი! —წამოიძახა ექიმმა მ. ქავთარაძემ.  
 — მიხეზდი, მიხეზდი!—დაუმატა უფროსმა ექიმმა ვ. უჯმაჯურიძემ.  
 — ამდენ ხანს გეთქვა, ჩემო ძამია, შავი!—უსაყვედურა ავადმყოფს კომისიის თავ-რემ ალ. მგელაძემ.  
 — რამდენი თვის გაქვთ მიუღებელი?  
 — ეხლა ორი თვის, და ისე არის ხშირი შემთხვევა, რომ სამი თვეც და მეტიც აგვიანდება ჯამავრს!  
 — ვალეები გექნებათ, აბა!  
 — კისრამდე ვარ ჩაფლული.  
 — შენი სამსახური ტელეფონით ლაპარაკთან ხომ არ არის დაკავშირებული?— შეეკითხა ავადმყოფს პრაფკავშირის წარმომადგენელი მ. ლლონტი.

— რა თქმა უნდა. ამა თუ იმ საქმეების გამო ხშირად, მიხდება ტელეფონით ლაპარაკი, გამოძახება, ტელეფონორამების გადაცემა ნაგომართან, ჩოხატაურთან, ლანჩხუთთან, სურგბთან და სხვაგან.  
 — აუუაი! აფსუს, რა ახალგაზრდა ბიჭი დაკარგულხარ! კიდევ ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, რომ არ ვადარეულხარ და ტყეთ არ გაქენებულხარ!  
 —დასძინა შემთხვევით შესულმა კაცო **შდენტმა**.  
 — შენი მდგომარეობა, ამბანავო, სერიოზულია. დასვენებას მოგცემო, მაგრამ ერთი დარიგებით: მოთმინება უნდა იქონიოთ. შეიძლება დოტაციამ ქვ მოგისწროს სულზედ. ან და ეგებ ადგილობრივ ბიუჯეტიდან გადაირიცხო სახელმწიფო ბიუჯეტზე, რაც შეეჭება ტელეფონით ლაპარაკს სხვა რა:ობებთან, ამას, ძმაო, თავი დაანებე. მაინამ შენ ჩვენს ტელეფონის სალგურს ვააგონებდე, ვაალვიძებდე, გამოიძახებდე; მერე იგი ნაგომარს მოგცემდეს, მერე ნაგომარს გაინებდეს; მერე ჩოხატაურიდან სხვა ადგილებს დაუწყებდე ძებნას,—მაგან სჯობია ადგე და წახვიდე ფეხით. ფიზიკურ ვარჯისობასაც გააკეთებ, საქმესაც მალე მორჩები, დროს ეკონო მისაც იზამ, შრომის ნაყოფიერების საკითხსაც გადასჭრი და, რაც მთავარია, ჯანმრთელობას აღიღვენ. გასწი ეხლა და ასე მოიქცი! **ტოქსინი**.





ასეთი რიხით დაიწყეს კონსერვატორებმა

## ყვარყვარე თუთაბერი მთავარ ხელოვნებაში

(ს ც მ ნ ა)

**ყვარყვარე.** რომელი ბრძანდებით ამ დაწესებულებაში სამუსიკო ნაწილის გამგე?

**ფალავა:** — მე გაბლავართ. რა გნებავეთ?

**ყვარყვარე:** — მარჯანიშვილის წყალობით, უმუშევრად დადვრი და სამსახური უნდა მიშოვნოთ.

**ფალავა:** — კარგი, მაგრამ რა აღვიოს ეძებთ?

**ყვარყვარე:** — რადგან სამუსიკო ნაწილის გამგესთან მოვსულვარ, ალბათ, თქვენ სფეროში მინდა ვიმუშაო.

**ფალავა:** — თქვენი სამუსიკო განათლება, სპეციალობა და სტაჟი?

**ყვარყვარე:** — მე მგონია, თქვენ კარგათ მიცნობთ და მაწინ ეგ რალა საკითხავია. ყვარყვარეს ყველაფერი შუქმდღია.

**ფალავა:** — უკაცრავად. ჩვენს უწყებაში მე „ყვარყვარეობა“ დიდი ხანია ამოვფხარი და მით უმეტეს თქვენ, თვითონ ნამდვილი ყვარყვარე აქ ვერაფერს მიიღებთ.

**ყვარყვარე:** — თუ ძმა ხარ, შენი ჭირიმე...

**ფალავა:** — კარგი. მომიტანეთ მაგის ოფიციალური დასაბუთება და მერმე შემობრძანდით, ასე ორი საბი დღის შემდეგ. ესლა კი, უკაცრავად, კონსერვატორიის პროფესორთა კრებაზე მივეწვიო, დიდი საჩქარო სამუსიკო საქმეებია გადასაწყვეტი და უჩემოდ ვერას გახდებიან. (ოთხბიდან გადის. განყოფილებაში არაფინ რჩება. თავმჯდომარე მოსკოვშია. მისი მოადგილე ოპერის კრებაზეა წასული. ყვარყვარე და ერთი მთხოვნილი—მუსიკოსი აღვილზე რჩებიან და ერთმანეთს შეემუსაიფებიან).

**ყვარყვარე:** — (მუსიკოსს) დიდი სამუსიკო სპეცი კი

უნდვ იყოს ეგ თქვენი ფალავა, პროფესორებსაც რომ უზაგისოდ ვერაფერი გაუკეთებიათ. ალბათ, საზღვარგარეთ ექნება კონსერვატორია გათავებული. სამუსიკო თბზულეებზეც ბლომად უნდა ჰქონდეს, რასაკვირველია: ოპერები, სიმფონიები, ბალეტები, მუსიკალურ - მეცნიერული ნაწარმოებები და სხვანი და სხვანი. მე კი მხოლოდ რამოდენიმეჯერ გამოვსულვარ ჩვენს საოპერო სცენაზე და, აბა, როგორ უნდა მომაქციოს ყურადღება? ვინა ვარ მე მაგასთან შედარებით?!

**მუსიკოსი:** — ისე აშენდა შაგის ოჯახი, მაგან მუსიკოს რამე იცოდეს. კონსერვატორია გაუთავებია კი არა, ფორტ პიანოს ზანდუკისაგან ვერ არჩევს!

**ყვარყვარე:** — უმაღლესი სამუსიკო სწავლა არ აქვს მიღებული?

**მუსიკოსი:** — რა ბრძანება.

**ყვარყვარე:** — არც უკრავს, არც იმღერის?

**მუსიკოსი:** — კარგი ერთი, ნუ შეხუბრებით!

**ყვარყვარე:** — ჰო და, თუ არაფერი არ იცის, ქე რიგორ მოხვდა სამუსიკო ნაწილის გამგეთ?!

**მუსიკოსი:** — ნუ მკითხავთ, თქვენი ჭირიმე. მაგაზე მასუხის ვაცემას მიჩვენია ერთ საათში ას თემიანი ფუფა დაწერო. ამბობენ გავლენიანი ბებია ყავსო, თორემ ისე როგორ შეიძლება ასეთი ამბავი მომხდარიყო.


**ყვარყვარე:** — ვაიმე, რავა ტყუილად გვეცნარჯე მაგასთან მოსვლით. ჩემზე უკეთესი ყვარყვარე თუთაბერი მაგ ყოფილა და მე ქე რალა გამოვრდები მაგასთან?

რკ-ლა





# ჯარჯინები



ასეთი ბოლო ეჭია მათ ოცნებებს.

## მიწერ-მოწერა

მკვდარი მღვდლისა ცოცხალი მღვდლისადმი

პასუხი

ძვირფასო, მუდამეას და ყოველ ადგილას მოსაგონარო, მამაო ექვთიმე!

მოგიკითხავ დიდის სიყვარულით და უმდაბლეს სალამს უძღვნი თქვენს მშვენიერ მეუღლეს ფოფოლია აგრაფინას. იმედია ჩემს ამბავს იკითხავ და უბნა მოგახსენოთ, რომ ძალიან გლახა პირობებში ვარ და ერთობ შევიწროებული.

მართალია მეუ ქვეყნად სანამ ვიყავ ვთალე სოფელი დუმასავით, არც ერთი გლეხი არ გადამრჩენია გოლტყავებელი და გვარიანი ფულებიც წამოვიღე აქ, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი, რომ ძალიან წუწკი ვიყავი ქალების და თუ რაიმე მქონდა სულ მოლოზნებს შევაქამე (ერთი ეპისკოპოსის საყვარელიც მივაყოლე ზედ, მარა ნინავო, შემრჩა ხახვივით).

ვაი, ჩემო დღეო, რა სათლელი, მსუქანი დუმა იყო ეგ სოფელი! შე დღინძალო, ვინ იცის ეხლა შენ მილიონიკიც ქე ხარ! რა ვიჭირს, ბიძია, რა! მსუქანი მრევლი დაგიტოვე და ქეიფობ ალხენინდ- ეხ, ომერთმა შეგარგოს, ჩემო ექვთიმე, ოღონდ მე ნუ დამივიწყებ და ხანდახან ხელი გამომიწოდე. ძალიან გლახა მღვდომარეობაში ვიმყოფები.

იწამე ომერთი, მამაო ექვთიმე, გამომიგზავნე რაზე და ამ გაქირვებას გადამარჩინე. მე ზავრების მოვნა არ ვაგიჭირდება! თუ ვაგიჭირდეს ჩახარე საცხა ერთი პრიხედნიკი და იმას გამოატანე. აჰა, შენ იცი, მამაო ექვთიმე, რავარც არ დამივიწყებ და ამ გაქირვებიდან გამომიყვან.

ეხ, ჩემო, მამაო ეპიფანე!...

რომ იტყვიან: „მკვდარი, მკვდარს აეკიდა, სამარეშტა მიმიტანეო“, სწორედ ისეა შენი საქმე! შენ მაინც მიწაში ხარ დამალული და არაფერ გდევნის და მე კი რომელ-სო-რომში შევყო თავი და რომელ ხვრელში შევძვრე, აღარ ვიცი! ზეზეურად გამთელეს და გამათახსირეს კაცი! დიად და პატარა, ქალი და კაცი, ყველა მე მაფურთხებს თვალიში. ჩემი სახე რომ ნახო, პირდაპირ ამასთუმანის ჩინოტკიანებო! „ბლევატელნიცა“ გეგონება! ამ კომწომოლქება გაგვთავადეს და გაგვანიავეს თელი სამღვდელიობა! რაც ეკლესიები დაგვინგოიეს, დაგვინგრიეს, რაც არა და მრეელი ისტე გადაგვირგულეს, რომ ეკლესიაში ფული რომ შეუყარო, გამოსატანათ არ შევა კაცი! ვდგავართ მე და ჩემი დიაკონი პირდაფენილები, ვრეკავთ ზარს და ველოდებთ ხალხს, მარა არ შეგქამოს ჭირმა! ჩვენსკენ კაცი არ იხედება! აჰ ჩასუქებული ფოფოლია, ქე იცი შენ, ჩემი დედაკაცი, რავარც თითისტარი ისტეა სიმშლისაგან გაწვრილებული!

აღარ არის ის პატივი.  
ინდაური, გოქ-ქათამი,  
გაპქრა ყველა, დაიკარგა  
ის მსუქანი ძველი ქრთამი!





# შეხვედრა

ბაქოს საღვურის დერეფანში საგვამოლო მრავალრიცხოვანი ხალხით არის დაფარული. მოელიან ტფალიდან მომავალ მატარებელს, მაგრამ, რაც მთავარია, მოელიან ქართველ მწერალთა დელეგაციას.

დამხვედურთა შორის ყველაზე წინ სდგას პატარა ჯგუფი ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებისა, რომლის თავმჯდომარე მალი-შალ გაბუნდავს რკინის გზის ლიანდაგს და ეტყობა, რომ მოუსვენრობს.

ეს მოუსვენრობა, რა თქმა უნდა, უსიამოვნო გრძობით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმ ტკბილი მოლოდინით, როცა საღვურში შემოსულ მატარებლიდან დინჯათ გადმოვა საქართველოს მწერალთა დელეგაცია და თავმჯდომარეც მას მიესალმება.

და თავმჯდომარეც თავის მესხიერებაში რამდენიმეჯერ გადამარცვლავს ხოლმე სათქმელ სიტყვებს, როგორც, ხანში შესულობის გამო, დადინჯებული მოხუცი კრილოსანის მარცვლებს. და ამ გადამარცვლაში სიტყვა სიტყვას სცვლის, სიტყვა სიტყვას ეცილება, თავისი მოქნილობითა და სიეღვარით.

— მწერლები წყეული ხალხია! — ჰფიქრობს თავისთვის თავმჯდომარე — და ვიი თუ იმით მაჯობეს მე გამოთქმებში!

და ტანში ბუბუ შემდგარი თავმჯდომარეც აჩქარებული მხედარივით მიგრეკება თუ მოგრეკება გონებაში შეჩრეულ სიტყვებს, წვრთნის და აგეშებს მათ ახალგაზრდა, ჯერ გაუზენდელი არაბული კვიცებივით.

მაგრამ აი, დაჰკვივლა მატარებელმა. ვაგონების თვლები —, მოვედით, მოვედით - ის - ძახილით უკვე მიგრიალეზნ მთავრობის წარმომადგენლების წინ და უდაბნოდან მოვარდნილ სამუდომით მიგრეკებიან თავმჯდომარის თავიდან ჯერ კიდევ, საქმოდ დაუგეშავ კვიცებს. მაგრამ გამოცდილი მხედარი მათ უკან ედევნება, იჭერს და ისევ თავ-თავის აღვილზე აბაშს.

მატარებელი დადგა. ვაგონებიდან გადმოდიან: ზოგი ბარგით, ზოგი უბარგოთ, მაგრამ არც ერთი კი არ იძლევა მწერალთა დელეგაციის შთაბეჭდილებას. ბოლოს — „მოვიდენ, მოვიდენო“ — აცნობენ წარმომადგენლებს.

იქით მწერალთა დილეგაცია და აქეთ მთავრობის წარმომადგენლები ერთმანეთისაკენ დაიძრენ.

უტბათ წინ, ე. ი. არც იჭრა, არც აქეთ, ანუ უკეთ — შუაში ჩამოდგა სანდრო ეული, როგორც ყოველთვის, და აცნობს მოსულ-დამხვედურებს ერთმანეთს.

სდგება საკმაოდ გრძელი პაუზა, სანამ სანდრო ეული მოაფიქრებდეს

თავის შესავალ სიტყვას, რომელიც სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ მარტო ერთი სიტყვა არ დარჩეს, არამედ წყვილ-წყვილად ერთმანეთზე გადაუღლებული რამდენიმე სიტყვა, მაგალითად — ათი, რომელთა შორის ხუთი მაინც იქნება არუსული „ვოტ“, ქართულ „ვოტ“ -ად გამოთქმული.

ამ უხერხულ უსიამოვნებას ისევ მთავრობის წარმომადგენელთა თავმჯდომარე არღვევს, რომელმაც, არ იცის რა, რომ დელეგაციას ჰყავს თავისი საკუთარი თავმჯდომარე, ჯერ პირდაპირ ტიცინს მიმართავს, როგორც ყველაზე წინ ამ დროს წამოკიმულს, რა თქმა უნდა, ისევე და დელეგაციის მხრით, მაგრამ მალე პაოლო იაშვილზე გადავა, რადგან უკანა რიგებში ჩამორჩენილი პაოლო სწორედ ამ დროს გამოარღვევს მთელ ამ კულტურული რევოლუციის ფრონტს და წამოიჭიმება წინ, ასე გასინჯეთ — ტიცინას წინაკვი.

ნამდვილი თავმჯდომარე კი, პატივცემული გრიგოლ რობაქიძე, თავისი პირადი მდივანით, ამ დროს შუა აღვილზე სდგას, როგორც მიუვალი მთის მწვერვალი, და საკუთარის დაჯერებით მოელის იმ წუთს, როცა წარმომადგენელთა თავმჯდომარის ყურადღება სამართლიანად და მართებულადაც შეჩერდება, მასზედ.

პატივცემული მიხეილ ჯავახიშვილი გრიგოლის გვერდით სდგას და სამართლიანად უყურებს არა მოლაპარაკეს, არამედ გრიგოლს, თითქოს თავისი მეორე „თეთრი საყელოს“ უმთავრესი გმირის სულის კვეთებას სწავლობსო.

უხერხულობის გაფანტვას ისევ სანდრო ეული იღებს თავის საკუთარ ქინძრზე და ყელში გახილულ ნერწყვს დიდის ვაი-ვაგლანით გადააჩორებს ყელში.

მაგრამ სწორედ ამ დროს ყველაფერი თავის თავად მოგვარდა: როცა პაოლომ გული იჯერა და მამულურის სიუტუხით გადაყლაბა მისალმების თითქმის ხუთი მეექვსედი, ე. ი., სწორედ იმდენი, რამდენი ტერიტორიაც უჭირავს დედამიწაზე კაპიტალისტურ

მსოფლიოს, დარჩენილი ერთი მეექვსედი უკვე ინსტიტუციონალიზაცია, ესეიეროთ ერთად, ინდუსტრიალიზაციის ტემპით მასზედ დაკისრებული მოვალეობანი, უტბათ ყოინივით მოიგონა კისერი, მიუბრუნდა გრიგოლს, ჩაავლო ფრაკის საყელოში ხელი, წამოაჩინილა წინ და საკუთარი ფალავანივით ჩამოუყენა ცხვირწინ წარმომადგენელთა თავმჯდომარეს.

სიტყვა გათავდა, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელი მაინც სდგას, იქნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს რაღაც დაეიწყდა და იგონებსო.

ნამდვილად კი მთავრობის წარმომადგენელი ამოდ მოელოდა თურმე დელეგაციის თავმჯდომარის საპასუხო სიტყვას, მაგრამ რა კი კი ხნის ასე დგომის შედეგათ ამას იქი მაინც ვერ დგირსა, უიმედოთ ჩაიქნია ხელი, მიუბრუნდა თავის ამალას და მუნჯურათ ანიშნა რაღაც დელეგაციის მიმართულებით, ხოლო თითონ კი განზე გადავა, თითქოს უნდა ნახოს სერი, თუ რაში იჩენს თავს დელეგაციისა და მთავრობის წარმომადგენელთა ურთიერთთან შეხლა-შეხვედრაო.

სანდრო ეულმა ისევ გადაყლაბა ნერწყვი და ყბები ისევ გამოებერა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტიურად ცუდი რამ მაინც არ მომხდარა.

ისტორიისათვის საიდუმლოთ რჩება, თუ რა უნდოდა ამით სანდრო ეულს. მხოლოდ, ერთად ერთი მისი ჭირისუფალი „ტარტაროზია“ ამის გამო შეწუხებული და თავის გულში ასე ამბობს:

— მოუკვდეს დედა, ვინ იცის, იქნება გულით უნდოდა რისიმე თქმა, მაგრამ ეს არ დასცალდაო!...

რადგან სწორედ ამ უხერხულობის ნიადაგზე როგორც დელეგაცია, ისე მთავრობის წარმომადგენლები სრულიად მოულოდნელად უტბათ გაერთიანდენ და ასე შეერთებული ძალით შეუდგენ პროლეტარულ ბაქოს დათვალიერებას.

## ონისიმა.

ივენი აკუნდუცა



ჩვენ არვინ გეყავს მადლიერი, — და ცდა ჩვენი ფუჭია.

ხურჯინივით ცარიელი ჩვენ დავვირჩია კუჭია.

ჩვენი სოფლის (ოფშკვითი, ქუთ. მაზრა) მიუდღეობა, მისმა დიაკონმა ნიკოლოზმა და მამულურმა, საბჭო წევრმა ივლიანემ მთელი სოფელი შექობიარეს ხურჯინებით, რომ მოაწუხებდნენ ნატუროთ. მაინც აელოთ საყელ, გადასახლება, მაგრამ ჩვენს სოფელში ორიც არ აღმოჩნდა მოაწუხებელი.



# ერთი ღლე

გამოვედი დღეს დილით თუ არა, (დაახლოებით საათის 7 იქნებოდა), მივუახლოვდი ჟურნალ-გაზეთების ფარდულს.

— გამოსულა! — ინსტიტუტურად წამოვიძახე და დავსწვდი ასაღებად „ტარტაროზი“-ს ახალ ნომერს.

— აბა, აბა, დაამსავე ძირს! სიფთა არ მიმიღია ჯერ. ნუ მნავსავ.—გამაგლებინა ხელიდან ჟურნალი გამყიდველმა.

იქვე ნაცნობი შეენიშნე პაპიროსს ყიდულობდა ცალობით. მივუახლოვდი, გავიხმე განზე და კონსპირატიულად გავანდე ჩემი საიდუმლო, რომ მე შეჭირდებოდა ორი შაური („ტარტაროზი“-ს ფასი).

— თუმცა ერთი აბაზი ქე მაქვს, ბიჭო, მარა არ მინდა თავი გავუტეხო, თორემ შემომეხარჯება!—მითხრა ნაცნობმა.

— მარტო ორი შაური მინდა. აბაზს მთლად კი არა გთხოვ.

— პაქალუსტა.—მითხრა მან და ის იყო ჯიბისკენ ხელი წაიღო, რომ სწორედ ამ დროს „კისერ მოსატეხი“ და არ „დასარჩინი“ ტრამვაი ჩამოდგა პლატფორმაზე ექსპრესივით.

— ოჰო, პატი-ნომერი, პატი ნომერი. რამდენხანს ველოდი მაგ... სატყვა არ დაამთავრა ისე გამიშა ხელიდან.

— გამაბითურე ხომ? დედას გიტორებ, მე შენ. არ გინდა სადილის ტალონი დღეს? მოგცემ არ გინდა! მოუქი გაჭირვებულს,—ჩავილაპარაკე გუნებაში, და თანაც ტალონებს დავ-

ხედე, რომელიც დღეს აღმასბიუროს წევრმა მომცა (3 ცალი), რათა პირობა მიმეცა, რომ კვლავ არ გავჭიმავდი კედლის გაზეთში. ამის პირობა მივეცი—არ გავამჟღავნებდი, რომ ის ქმამბიჭებს ხშირად აძლევს ტალონებს ერგება თუ არა. თან კიდევ დამატებით გავიგე, რომ „ბოროტი ენები“ იმასაც კი ამზობენ, თითქოს სადილის ტალონებს ჰყიდდეს, როგორც ის აგრეთვე სხვებიც, პო, და დავპირდი, არ გავამჟღავნებდი არავისთან და კიდევ ვასრულე.

რალა დიდი გავაგრძელო, ვიშოვე როგორც იყო ორი შაური, გადუგდე „იულა ისკარიოტელს“ (გამყიდველს), ავიღე „ტარტაროზი“, გადავწვალე და, ახ „ბოჟე მია“, ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი. დავვეცი ოთხათ „ტარტაროზი“ და დავაპირე პირდაპირ ქარხკომისაკენ გაქანება, რომ ყველასათვის მენხარებია ეს „ბატარხ ამბავი“, რომელიც შექმნიდა დიდ სენსაციას.

გადავდგი ნაბიჯი თუ არა, სწორედ ამ დროს მოულოდნელად წინ ამეყუდა შეჭროს პორტფელიანი ახმახი ოჩოპენტრეს მავარი ძელის სათვალეებიანი ობიექტი (ქარხანას დირექტორი გაწლდათ ვოლოკიტე ბიუროკრატიძე).

— დიახ. ზმხანაგო ვოლოკიტე.—წავილულულდე და შიშის ქარმა ზაგეს-რიონგეს ვოლხოსტროის „ტოკივით“ დამიარა სულერთიანად ტანში.

— ინტერესნი ნომერი. მოიტა ერთი ვნახო რა ყრია შიგ... — ვაი ამ ქამას!—გავიფიქრე, იცნობს და მიხედება კიდევ, არ უნდა კრიჭინი,—მაგრამ რალს ვიხამ-

დი. გაუწოლე ხელის ცანცხი და თან დავუმიბე:

— მეონი რალაც უნდა ეწეროს ჩვენი ქარხნის შესახებ. წუხელ მესიზმრა.

— რაო! გესიზმრა ჩვენი ქარხნის შესახებ? —მეცა მეგლევით, გამომატაცა ხელიდან ჟურნალი და ვადათვალიერება დაიწყო.

შეტორტმანდა.

— რაშია საქმე ამხ. ვოლოკიტე?

— რაშია და შკაფში. გიცნობ რა მვილებიც ხართ... ეგ სულ შენი ოანებაა, მაგრამ გაებმები შენც ჩემს მახეში.

— როგორ გეკადრებათ ამხ... პატიონო ვოლოკიტე. მე თქვენ შესახებ ცუდ რამეს დავწერიდი? პირიქით, მე კმაყოფილი ვარ თქვენ მიერ შექმნილ სპეცტანსაცმელით, თუმცა ფოლაქები ზოგ მათგანს არ აკერია, მაგრამ ეს არაფერია. ალბად ისე არიან გართული მუშაობაში, რომ დაავიწყდათ.

— მაშ ვინ დასწერდა... თუმცა სწერონ... სწერონ...: მაგრამ ვაი მის ტყავს, თუ ხელში ჩამივარდა ის ტარკორია, თუ რალაც ჯანდაბა!—და მოჰყვა ორიგინალურ „კურთხევას“.

მაგრამ ჩემს ბედზე თავზე მისი თანაშემწე წამოგავდგა. მას უკვე გაეგო საქმის ვითარება.

— მოვცლია ერთი შენც.—მიმართა მან მოსვლის უმაღ „ზავს“, რათა მისთვის ნერვები დაემშვიდებია.—პირველი ხომ არაა ეს ჩვენს შესახებ? წამოდი. უკვე თორმეტი საათია, არ დაგავიანდეს სამსახურში.

დონ-კინოტი.

სპეცტანსაცმელებს, რომლებსაც ურიგენ მუშებს, არა აქვთ ფოლაქები.



— ხელს რომ არ სწევთ, საკითხს არ ეთანხმებით თუ? — როგორ არა, მაგრამ ხელში შარვალი გვიკირავს!



— უწინარეს ყოვლისა შენ ინახულბე ტყის უმაღლესს ორგანოს, ე. ი. სატყეო ტრესტს!—მიიხრა ტრატაროზმა წყველისას.

— მეც ასე მოვიტყეო—პირველად ვინახულე

### სატყეო ტრესტი

— ჩვენ გეანტრესტებს ვაფიქრობ, თუ რა ზომებს დებულაობთ თქვენ ტყის დასაცავად!—პირდაპირ დაეინწყე სატყეო ტრესტი.

— ტყეზე ყველაზე უფრო ჩვენ შეგვტყევა გული, ჩვენსათვის რომ სხვებზე უფრო ტყის მაშინ რა გვეჭირს! მაშინ ჩვენი ტყეები კი არ განადგურდებოდა, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ ისე გაიზრდა-გაფართოვდებოდა, რომ, სიტყვაზე ასე ვთქვათ, მიიღო ჩვენი ქვეყანა ვატყეურდებოდა, ტყედ გადაიქცეოდა!—დამწყო ლაპარაკი ტრესტის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მუშაზე.

— რაში გამოიხატება თქვენს პირს მიღებული ზომები ტყის დაცვის საქმეში?—შევეციოთ მე.

— თქვენ ვარვად მოგვსტყენათ (არა ერთხელ ჩავგავდეთ ამისათვის „ტრატაროზმა“), რომ ჩვენ ზამთრობით შეგმა არა გვაქვს, მოუხდენდათ იმისა, რომ ჩვენი მთავარი და ერთ-ერთი დანიშნულება ეს არის შეგის დამზადება, არა გვაქვს, არ ვაშხალებთ იმიტომ, რომ ტყეს ვიცავთ. იი ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ქალაქს შეგს ვერ ვაწოდებთ ზამთრობით. თქვენ კარვად მოგვსტყენათ, რომ შეგს იძლევა ტყე. და თუ შეგმა დაემაზადეთ, ტყე გაიჩნება, რასაც ჩვენ ვამჯობინებთ უშუალოდ ქალაქის დატრეშებას.

აქედან წამოსულს მოსახვეწეში შეგმება

— სოფლის აშენება კარგი საქმეა, მაგრამ ტყეს ხომ არ ანადგურებთ და უფროდ ხომ არ ჩებათ?—შევეციოთ მეტურმეები.

— რის გეგმა! ჩებასაც გეგმა უნდა! კი! გეგმისთვის ეს სცალია, რომელი ზედ მოვეწონება, იმას წამოვატყეოთ. ამა, გამაზარი და წაქცეული რად მინდა!?—იკეცნიოდნ მეტურმეები.

— კი, მაგრამ ტყის განადგურება სოფელს საფრთხეს უტყადის. მოსალოდნელია დიდი წვიმის დროს მოულოდნელად მოვაადეს ძლიერი ნიღვარი და მთელი სოფელი წაიღოს!

— თუ წასაღება და წარღვა მოხდა დევის რისხვით, ტყეს რა შეგლა შეუძლია? ეს, ჩემო კარო, სოფ ტყეულია. ჩვენი დანიშნა უნდათ, რომ ტყე არ გაჩნებოთ, თორემ სად ტყე და სად წყალდიდობა!—მანაც თავისას ვაითხზოდნ ისინი.


— პეტრე... ივანე... პავლე... სად მიდიხართ, კაცო, ამ ცულებით!—უძახოდა მეზობელი მეზობლებს, რომლებმაც ახრებზე ცულები გამოედოთ და საითქნაც მიიჭარბოდნ.

— ტყეში მოვიდეთ, ტყეში... დღეს „ტყის დღე“ ყოფილა! შენაც წამოდი, რას უტცი!

— კი, მაგრამ „ტყის დღე“ თქვენ ასე გეცხით, რომ ტყეში ცულებით მიდიხართ ტყის გასაჩხვად?!—შევეციოთ მე შათ.

— დღეს „ტყის დღე“ ვახლავთ. სხვა დღეებში აკრბა-ლული ვაქვს ტყეში ხის მოჭრა. მართალია, მაღულად ქე ესტრით მიიცი, მარა ნებადართვითაც მოვსტყრით დღეს, რადგანაც დღეს „ტყის დღეა“. ასე გვეთხრა ალმსკრმის თეამჯდომარე: „ტყეში ქურდობა არ შეიძლება; ხე არ

— ეს როგორ?  
— როგორ, და, ის ტყეში წყლფონაში ერთხელ თუ ვა: ივლის მუდამ თავისს სახლში ხის.  
— ვამაზარის ხომ ლებულობს?  
— კი.  
— მერე?



აი, ტყის გამანადგურებელი; — როგორი ჩლოტები მოუტყრია!

— მერე, დე ვამაზარის მისაღებად ალმსკრმში მიიცი, თორემ ტყეში კი არა. კარგი კაცია. შარშან ერთხელ მოვკარი თვალი, ისე მხინარეს ცაცხვის ჩრდილში. მას შემდეგ აქეთ მას პირიც არ უქნია. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, მოღრუბულში ცამ დაიძვექა და კოკსპირული წვიმა წამოვიდა. მე სარქაროდ გამოვეტანე სოფლისკენ.



— საით მიდიხარ მაც ცულებით? — დღეს „ტყის დღე“ ყოფილა. და ტყეში მივიდვიარ!

სატყეო ტრესტის მმუშაკი: — ჩვენსათვის ტყეს არავინ იცავს. ზაფთრისათვის რომ არახლდეს შეგმა არა ვაქვს, ეს იმიტომ, რომ ტყეს ვიცავთ და შეგისათვის არ ვჩებათ.

### უ რ ა მ ი

— ზა! ერთი მანეთს კიდევ მოვიბატებ. მეტს არ მოვცემ იცოდე!—ევაკურებოდა მუშტარი.

— ვერა ხედავ რა ზორბა ურემია?! სამი მანეთი მარტო იმ ქიტე-ძალი ტყისმცველისათვის მიმიცია ქრთამად ამ შეგსში. ესლა ყვილი ასე ითავდა, თორემ ზამთრის პირას სამაჯერ მეტსაც კი მომცემ!—უეზნებოდა შეგის ვაფი-დედილ ვლენი.

— მაშინ ტრესტში ვიყიდი შეგს!—ანუფეშებდა თავმ მუშტარი.

— მაგისი იმელი იქონიე შენ, და ზამთარში გვერ-დები თბილად გეცემება!—მოაძახა ვლენმა და ზანტ ხარებს შოლტი ვადაუტლმუნა.

— იი ტყის გამანადგურებელი! როგორი ჩქოლები მო-უტყრიათ! ასეთი ნორჩი ჩქოლებს შეგს ვაყიდვის ნება არ უნდა იყოს. ამაკარა—ტყე ნადგურდება!—ვაფიქტრე ჩემთვის და პირი სოფლისკენ ვტყნი.

### სოფელში

გზაზე ბევრი ურმები შეგმება, რომლებმაც ხე-ტყის მასალა მოპკონდათ. სოფელში ბევრი ახალი შენობა შენდებოდა. ასე ვე-გონებოდათ—სრულიად ახალი სოფელი შენდებოდა.

უნდა მოიქრასო. სამავეიროდ, ყოველწლიურად ერთ დღეს, როცა „ტყის დღეა“, მაშინ ვაქეთ უფლება ტყეში ხის მოჭრისაო...  
აი, ეს თავისუფალი, მანიფესტინი „ტყის დღე“ დღეს ყოფილა და ჩვენაც ამიტომ მიიჩქარით ტყისაკენ.

### ტყეში

— მართლაც, ვაყურებულე იყო ტყე ცულებს ხმაუ-რობისაყან.

— აი ეს არის ჩემი დღე—ტყის დღე“, ასეთ დღეში ვარ. დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიჭრია!—უმოშივილა ტყეში.

ამ დროს სადღაც წაიქცა (მისჭრეს) ვეებერთელა მუხა, რომელმაც თან იმხვებოდა რამდენიმე ნორჩი, ახალგაზრ-და ხეები და მიწაზე დანარცხა თითქოს ბრაზი მოსდი-სო: „მე ვკვლდები და, დღე, თქვენც ჩემთან დადებეთ“.

ამ ხმაურობამ საწყალი კურდღელი ძე დააფრთხო, რომ ბუჭქიან გამოეფარა და პირდაპირ ჩემსკენ გამოიქცა.

— ვაწუტებენ?—შევეციოთ კურდღელს.

— საით წაიღე აღარ ვიცი. ყოველდღე გულის ხეთ-ქას როგორ ვაფუტლებ?!  
— როგორი ყოველდღე დიდან!  
— ყოველდღე... მუდამ ასეა... ყველა მე მაწუტებს, გან-და ჩვენი ტყის მცველსა.

### ნიღვარი

როცა სოფელში ჩამოვედი, საღლა დახვდა სოფელი! უეცრად მოეადინო ნიღვარს, რომელიც ვერ შეგმა გრებია მთებს, რადგან ტყე გაჩხილი იყო, სოფელი წაიღო სოფლები უსასკაროდ დარჩენილიყვენ.

— აკი გუებრებოლენ, რომ ტყეს ნუ ვაჩხავთ, დიო-ცავით ტყე, თორემ წყალდიდობის მსტვერბონი ვახლდებიო-თქო. ესლა ზომ ხედვით რა მოგვიდათ!

— ესლა კი მიხვდებო, მაგრამ რა დროსია! ამიერიდან ერთ ჩქოლსაც არ მოვსტყრით ტყეში და ძე მოვეტლით, როგორც თავის საკუთარ ბაღჩას.

### ვინმარი.

შეუდგენი № „ტრატაროზი“  
სპეციალურია  
პარტიულ წმენდაზე






# ხალხური

# „თავისუფალი სიტყვის“

- ა ხუცესო წარკოტიო,
  - თუ ამისთვის მორბოდიო.
  - ა ხუცესო პასკებიო,
  - თუ კვანავით გასკდებიო.
  - ა ხუცესო გოჭებიო,
  - თუ კი გიჭრის ღოჯებიო.
  - ა ხუცესო კვერცხებიო,
  - თუ სხვა რამით ვერ ძღებიო.
  - ა ხუცესო ზედაშენი,
  - გიცხონდება დედაშენი.
  - ა ხუცესო სავსე ჭური,
  - ამოვარდა შენი რჯულიო.
  - ა ხუცესო ღვინის ღოჭი,
  - ამოვარდა შენი ქოჭი.
  - ა ხუცესო აღდგომო,
  - თუ გელირსა გაძლომო.
- შენ გააძვრე სოფელს ტყავი,  
ჯანდაბაში შენი თავი.  
ვითომ ქვეყნად შვებას ქმნიდი,  
ჩუმად ჯიბებს იტენიდი,  
გემსრობოდა მეფე, ღმერთი,  
და იყავით სამივე ერთი.  
ქვეყნის საჭე გქონდა ხელში.  
ისტუმრებდი ღარიბს ხენეშით.  
საყდარში კი პირჯვრის წერით.  
ფოფოლიას ასუქებდი,  
საკურთხით და ნაწუქებით.  
უმღეროდი ავტოკეფალს  
და ივხებდი ქონით კეფას.
- ა ხუცესო ბერებიო,
  - თუ კი გაიბერებიო.
  - ა ხუცესო მოლაზონი,
  - საცეცხლურში ბოლავს ქონი.
  - შენ, მოლაზნებს, წმინდა ბერებს  
დღეს ქვეყანა ვერ იფერებს.  
ამოგიწვეს ბუნავიო  
ღეჭს ვერ გიწერი შესაქებსო,  
ანასუნე შენ საქმესო.



სასახლე პოლონეთში

ვირთხა.

## დაგნაუკვეები

### გადმოკითხული სტკ. ანდრეასო-საბან

მეორე უნის ბოქაულო, დაკარგულაძე, გააღვიძეს და აცნობეს, რომ გლხენებმა მისი განკარგულებაში წარმოადგინეს ორი ტყვე! საბა ათსახლაძე და უცნობი, რომელმაც თავისი ვინაობა არ გასთქვა.

როგორც სოფლის მწერალი იუწყებოდა, ათსახლაძე შეუხტა მოიჯარადრე ებრაელს აუწროკა სახლი, დაუმტვრია ნივთები, ტაფის მომტვრეული ტარით დაუჭრა ცოლი, ხოლო ვაჟს მოუგდებინებინა ყური. სოფლის კანცელარიაში მიუყვანილმა, მან სცემა მამასახლისს, ურადნიკს ჩამატვრა ორი წინაკბოი, ხოლო მწერლისათვის უნდა მოეყრევიანება ხელები.

მოგდევინებელი ყური და ორი მომტვრეული კბოი ამასთანავე იყო წარმოდგენილი, როგორც დამამტკიცებელი საბუთები, ფრთხილად შეხვეულ გაქურტვებულ ქალადში.

მეორე უცნობ პირს ბრალდებოდა ის, რომ დაჭერილმა სოფლის განაპირა ბოსტანში, მან დამალა თავისი ვინაობა, ხოლო განსრეკის დროს კი აღმოჩნდა: ერთი წყვილი ბროკლამაცია, ყუმბარა და ქერა პაროკო.

ბოქაულმა დაკარგულაძემ გადაიკითხა მათაკო, გააფურთხა, არგინი იცის: ხალხის მიზმართით, მას რომ ძილი გაუფრთხეს, თუ

ბორბომოქმედთა მიმართ და წამოიძახა: აი დაკარგული ხალხი!..

შემდეგ გამოალო თავისი კაბუნების კარი და ათსთავს გამოსძახა:

— პარმენ, შემოუშვით რიგზე!

ბოქაულის კაბინეტში შემოეყულა მალალო, შავ-შავი გლეხი, ღურჯ ხალათსა და ზოლებიან შარვალში, თავზე მარაოსავით გადაფარული თმებითა და ფეხზეც დაგლიჯილი წაღებით. ის დადგა მაგიდასთან და ჭრელი ვიწრო თვალები დაასო მარცხენა ფეხის ცერზე გადაფხრეწილ ჩექმის წვერს. ბოქაულმა ახედ-დახედა, თვალები კატასავით მოხუჭა და ვითომ გამანადგურებელი ირონიით დასძახა:

— ეეს. ათსახლაძე! შენ ათსახლაძე კო არაა...

უნდოდა თქვა რაღაც მართლაც გამანადგურებელი, მეტად სასაცილო, მინახ-მინახა, მაგრამ რომ ვერაფერი იპოვნა, ცოტა დარცხვენით დაათვა:

...მოთრეული ვინმე ხარ...

აი შენზე იწერებთან, რომ მოიჯარადრე დაგებგვია, მისი ვაჟისთვის ყური მოგადგინებია, მამასახლისისათვის გიცემა, ხოლო ურადნიკისათვის კბოლები ჩაგიღეწია. მართალია ყოველივე ეს?

— მართალია!.. დადასტურა შავგვრე-მანმა.

— აჰა, თვითონაც არ უარყოფ. მერე და რა დაგეშავა შენ მოიჯარადრემ?

— ამ ებრაელებს მუდამ ცეცხლ... იმათ ქრისტე აწვალეს და ამასთანავე მთავრობასაც პატივს არ სცემენ... მე უფრო მთავრობის პატივცემლობისათვის...

— მში ცემა მაინც მოღებული არ არის...

— როგორ? მე იმათ ვეუბნები: მოიცოცხლე და ბანი გუბერნატორი თქვენ ყველას ჩამოგახრჩობს-თქვა. ის კი მიპასუხებს: შენს გუბერნატორს სამ მანეთად ვიყიდო.

— ნუ თუ მართლა ასე თქვა?

— ზედ გამოჭრალად! და როცა მე მოვაგონე: დამაცა, ამ შენს სიტყვებს სუყველას ბან ბოქაულს გადასცემ-თქვა — მან იცით რა მიპასუხა: „თუ გუბერნატორს სამ მანეთად ვიყიდო, შენი ბოქაულის ყიდვა სამ აბაზადაც კი არ გამოჭრდებაო“. ააა, შენ ღორის ჭყანში ამოვლებულა, მაშ ასე? ვეუბნები...


ბოქაულმა გაიხარხარა...

— მაშასადამე... შენ მის ვაჟს ყური... მოაკრიალდე?..

— სუფთად! იმითომ, რომ მე ასე ვმსჯელობ: „თუ კი შენ შეურაცყოფ ჩემს მთავრობას, ბ. ბოქაულს, მაქვს თუ არა მე უფლება მოვხსებო შენი ყური? მაქვს!..“

— ხა-ხა-ხა-ხა!.. ოო, რა სასაცილო რამე ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა... მოიჯარადრის ცოლს რაღას ერჩოდო?..





სად. ქუთაისის ფერშალ-კონდუქტორებს დაავალეს „აბტექის“, ტელეფონის, ფანარისა და კვერთხის ტარება; აგრეთვე ვაგონის მოვლაც.

# ნამდვილი დატვირთული

— იმან კიდევ თქვენი მეუღლის შესახებ დაიწყო რაღაცა...  
 — ააა... დიდრიფია ბოჭალო. მაშახხლის და ურადიოს რაღას ემართებოდით?  
 — ისინი კიდევ, ვეუბნები თუ... ხელი არ მახლოთ: მე ჩემი მთავრობის, ბ-ნი ბოჭალოზავის ვცდლობდით-თქვა... პასუხად კი მეუბნებიან: რა დიდი ვინმე გგონია შენი ბოჭალო... აჲ, თუ არ არის დიდი-თქვა და, გუყვარდეს: გავუშავე ერთს, გავუშავე მეორეს...

— ხა-ხა-ხა-ხა... ხა-ხა-ხა... გეტყობა შენ ჰკუა არ გაკლია... შენი საქმე კი, სჩანს, უნდა მოვსაოთ.  
 ბოჭალომა ხელი ჯიბეში იკრა, მიძებნ-მიძებნა ვერცხლის ათშაურისანი, ამოიღო და შავგვრემანს გაუწოდა:

— ააჲ, დაჲ, გადამკრავ იქ სადმე...  
 — ბეჯეთად! სწრაფად მიუგო შავგვრემანმა და სწრაფადვე ჩამოართვა ფული...  
 — წადი, რაღას უცდი?...  
 — მე, თქვენო კეთილშობილებავ, შესახებ წაღებოდა... ჩემები რაღაც ხულ გადაფხრიწა და არც ქვეშედან, ძიროდან სჭირთ უკეთესი...

ბოჭალო სწრაფად შეტრიალდა საძინებელ ოთახში და მცირე ხნის უკან გამოვიდა თითქმის ახლათ-ახალი ჩექმებით ხელდამშვენიებული.

— არის წამოიძახა შავგვრემანმა, როცა ბოჭალოს ნაქონი ჩექმები ფხვებზე მოირგო, ხოლო თავისი ძირ-გავარდნილები კი ოქვე დაჰყარა. ეხლა, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ, შესახებ პალტოსი, თუ შეიძლებაოდეს...

— ნუ, ნუ, გეუფა!.. პართენ, აბა, გაუღე კარი და გაუშვი ეს პატიონანი კაცი, რათა დროზე ნახოს თავისი გზა... მიიძახა ბოჭალომა ათისადაც.

შავგვრემანი თითქმის აორთქლდა, ფიცხლავ გადნა ბოჭალოს კაბინეტიდან.

— აბა, შემოიყვანეთ შემდეგი! გასცა მან ფიცხელი განკარგულება.

ათისთავმა კარი შემოაღო, შემოაყოფინა შიგ თავი გლენებში მიერ მოყვანილ მეორე დანაშავეს, წამოჰკრა ზურგში წესისა და რიგისამებრ და მიუროდებლად შემოაგდო ბოჭალოს კაბინეტში.

— ააა, ძვირფასო შევარდნო, იფრინე, იფრინე და ბოლოს ჰკარი ნისკარტი ბადეში?!.. როგორ არის თქვენი ერფურტის პროგრამა?!..

ბოჭალოს წინაშე იდგა დაბალ-დაბალი, ჩახკენილი გლენი თავზე ჩამოქლეფალი ქუდიით და დაბლა დახრილი თვალებით.

— რაღა თქმა უნდა, თქვენი სოციალური ჩამოშვების შესახებ ბევრი კოთხეა-მოკითხვა აღარ დაგვერდებია: ლიდერები, მეღვინეები, ნიტროგლიცერინი და სხვადასხვა ბიკუორდის ზონარი თუ ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

ბოჭალომა ცოტა შეიცვალა ტონი და დასძახა უფრო მკაზნად:

— მონაწილენი გყავს?  
 — საოდან მეყოლებოდენ მონაწილენი, თქვენო კეთილშობილებავ!..


— ოჰო, სჩანს მოგვიწევს ქალაქში წასვლა ამის გამოსარკვევად.  
 — თვითონ ქალაქიდან გახლავართ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!..

— ძალიან სასიამოვნოა! ლურჯიანის ბოსტნებში რომელმა ქარამ მოგავადოთ?  
 — ბოსტნებში მე რა მენახებოდა?

— კონსპირაციას იცავთ, არა? მაშ, მკვლელიობა, რომელიც თქვენ უნდა მოგვხდინათ, ბოლომდე კონსპირაციით არის დატოლილი?!..

— რის მკვლელიობა? რის კონსპირაცია?!  
 — შო, ვიცით! შეუფარებლად ვისმე ფენებში და შაიდა... წადი მერე და ეჭვი ქარი მინდორში!..

— არა, მართალია მთვრალი კი ვიყავი, მაგრამ დაგარებამდის საქმე მაინც არ მისულა...  
 — რაი!..



მზგაპრი:—ეი, შენ „ნახილჩიკ“, ეს ჩემოდანი წამომიღე მატარებელში!  
 — უკაცრავად ხართ! მე ფერშალ-კონდუქტორი ვახლავარ!

— მთვრალი ვიყავი... ისინი კი თივაში ექვს შაურს მოთხოვედენ. გავიწილა, თქვენო კეთილშობილებავ; თივა ექვს შაურად?

— რის თივა, რას ამბობ?

— მათი თივა, მოგვარადობა...  
 — რას მიედ-მოედები? რისი თივა, რისი მოიჯარადრე! ყუშბარა საოდან მოიტანე, შენ ისა სიქვი.

— სად იყო ყუშბარა, არავითარი ყუშბარა არ ყოფილა, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ.

ბოჭალოს სახე წამოჰქარხნადა.

— ნუ სულელობ შენ, ვიდეც ხარ, გესმის, ნუ სულელობ!

— სულელობაა, მაშ, რა არის, თქვენი ჰირამე! მე ვეუბნები სად გავიწილა ექვს შაურად თივა-მეთქი, ისინი კი თავისას ირემებენ... მთვრალი კაცის გავლევას ნებულობენ... შო და წავიდა...  
 — რა წავიდა? რას ამბობ?...  
 — წავიდა, ე. ი. ხელი თავისით ამუშავდა: სულელი რომ არ ვყოფილყავი, ებრადის ბარტუს ყურს მოვავლევდი?!  
 ბოჭალო წამოიჭრა თავის ადგილიდან და გაშლილი თითებით ეცა უცნობს ყელში:  
 — ვინა ხარ შენ, შეჩვენებული, რა გქვია?!..  
 — საბა, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ... ათსახალაქსაც გვარად მიხმობენ, თუმცა ერთი საკუთარი სახლიც არ გამაჩნია.  
 ბოჭალომა სწრაფად შეუშვა ხელი გლენს და ღრიალით მივარდა კარებს:  
 — წავალა!.. პართენ, გესმის, წავიდა ის ვერანი, ისა!..

## გამოცანა

(ამაღლება, გურია)

თავის ქება ძლიერ უყვარს, სხვას არ ატლებს არცა „ჩირად“. თუ თვალში არ მოიწონე, სალამს მოგცემს ერთობ ძვირად. ნუნუნას თუ ყოლუბი უქნა— მოერიდოთ უნდა მაშინ, თორემ მაგრად შეგიკურთხებს, თან გააგუნის სილას ყბაში. უზრდელოა ყოფა-ქცევით, განთქმულია კიდო-კიდე. ვერასდროს ვერ იხეირებს კაცი მისი გადამკიდე. ბევრხელ ოქმიც შეუყენეს, ლაქირათ კიდეც უნდა, მაგრამ თავის მოქნილობით ყველგან გაძვრა მილა-კულა. ეხლა კიდევ ბაჭა-ბუჭობს, რომ კაცია ერთობ დიდი. ამბობს: „მდეგთან რას გახდებავატი რქებით დანაჭირდი!“ „აღვირ-ახსნილს“ უწოდებენ, რომ არა აქვს არვის რიდი; ესთქვათ როდემდის ითარეშებს „ჩვენი ქვეყნის ეს რაინდი?“  
 პომპოლიკი.

ტენისიძე.






# შეჯიბრი

# საშურის-ბიუროკრატია

სოციალისტურ შეჯიბრში  
 ებმის ყველა მშრომელი;  
 (ამ ჩვენს აღმშენებლობაში  
 ჩამორჩება რომელი).  
 ეს კომკავშირის დაწყება  
 პპოვებს ჩვენს გამოძახილს;  
 (მშრომელ ხალხს უმზადებს შვებას  
 და მტრებს კი ცეცხის მახვილს).  
 მუშები აღმშენებლობით  
 გლეხებს ძმურად იწვევენ;  
 (და ჩვენი ქვეყნის ორგულნი  
 ჯაფრით ყალყზე იწვევენ)  
 გლეხები მეურნეობის  
 აწევით სძღვნიან პასუხს;  
 (კულაკების ხროვა ამით  
 გულგასახეთქედ და სწუხს).  
 ეს შეჯიბრი წითელ ლაშქრის  
 მიღლა სწევს ბრძოლის უნარს;  
 (ვინ შეედრება ოქტომბრის  
 ღრამის დამცველ კომუნარს).  
 სკოლებიც არ ჩამორჩება  
 სვლას სოციალისტური გზით...  
 (და წინ უძღვის ნორჩ თაობას  
 ყველგან კომუნისმის გზით).  
 პიონერთ ნორჩი რიგებიც  
 შეჯიბრში ებმებიან;  
 („დაღლილ მებრძოლთ ნაცვლად  
 მოვალთ“ —

ყველას ეუბნებიან).  
 მათ მოსდევნენ ოქტომბრელნი —  
 სოციალისტურ მღერით;  
 (ყველა მტრებს ემუქრებიან,  
 რომ ატანილა წერით).  
 მთელი საბჭოთა კავშირი  
 ამ ნეტარ აზრით წინ ჰქრის;  
 (სოციალისტურ შეჯიბრზე  
 არის დღეს ჩვენი ფიქრი).  
 ჩვენი ქვეყნის აყვავების  
 ეს არის ამსახველი;  
 (ამ შეჯიბრში ვინც არ ებმის  
 რაა მისი სახელი?)

ტარზან.



— ეს რომელი სადგურია სურამსა და საშურს შუა,  
 რომ ამდენი ხანია აქ ვდგავარ და მატარებელი არ გადის?  
 — სადგური არ არის. ნიშანსვეტთან ვდგავართ, სა-  
 შური არ გვდებულაობს.  
 (ცქინტორის-პირელი).

კვლევის გავითვალისწინებთ მსახურს ვსთხოვთ მო-  
 გავაგონოთ კარგიკატორები და ნახატები აღბი-  
 ლობრივ ცხოვრებაზე.  
 სუსთად და გვარკინად ვესრულეზული ნა-  
 ხატები დანიგნავება თითქმის ვაშსფორმულად  
 ავტორის დაცვით. დროგამოშვებით რადაცნია  
 მთელ გვიარდს დაუთმობს ახალგაზრდა მსახურ-  
 რების ნახატებს.  
 მოგვავაგონეთ მასალები.

# თანამედროვეობა

## სურათი პირველი

### სახალხო სასამართლო

მოსამართლე: (ოტელოს): — დეზ-  
 დემონას მამა თქვენა ბრალსა გდებს,  
 რომ მას თქვენ ქალი მოსტაცეთ მო-  
 ტყუებით და რაღაც თილისმით. აბა,  
 ოტელო, შენ რას იტყვი? თავს რით  
 იმართლებ?

ოტელო (სამწიფო ნაწილის გამგე): —  
 სიღარბისლით, ძლიერებით სახელ-  
 განთქმული, სიმართლის მცველი  
 თქვენ სახალხო მოსამართლენო! მა-  
 რთალი არის: მოხუც მამის დაუკით-  
 ხავად გამომყვება ქალი. ისიც სწორეა,  
 რომ მე იგი უკვე ცოლად შევირთე,  
 — მაგრამ, ჰმ, რასა სულელობს თვით  
 არ იცის სულელმა მაგან. განა გჯე-  
 რათ, რომ ქალს ძალითა მოვიტაცებ-  
 დი?!

დეზდემონას მამა (პენსიონერი): —  
 მე შენ გაჩვენებ სერს, თუ როგორ

უნდა ახალგაზრდა ქალის მოტყუე-  
 ლება!

ოტელო: რას ბაქი-ბუქობ? არ და-  
 მტვრიო ბუღეზე კვირცხი.

დეზდემონას მამა: — ძალღმა იმას-  
 ქნას ამ ჩემს მელოტს თავსა და ქა-  
 ლარა წვერულგავაზე, თუ არ გახა-  
 ნო ეგ თავხედობა!

ოტელო: — გთხოვთ შეიტანოთ  
 ოქში მისი სიტყვა-მუქარა... ჰო, მო-  
 ვახსენებთ... მოხდა პიროქით, რაღაც  
 ხათათ ამეკვიტა მაგისი ქალი დეზ-  
 დემონა, რომელიც შემანქანედ მსა-  
 ხურობს ჩვენთან. არ შეიყობის დროს  
 წამომცდა სიტყვა — მიყვარხარ - მეთ-  
 ქი... და თქვენც კი იცით ეხლანდელი  
 ქალის ამბავი: გადამევიდა ნუროჯი-  
 ნივით, არ მომასვენა, და რაღა მექ-  
 ნა! ერთს დღეს ზაგში კანონიერი  
 ცოლქმარი გავხდით.

აი აქ მოდის დეზდემონა; ჰკითხეთ  
 მას თითონ.

დეზდემონა (მემანქანე): — ვინ გე-  
 კითხება, მამაჩემო, შენ საქმეს ჩემსა,  
 რომ გამომტარხარ მეცამეტე გოჭი-  
 ვით აქა და ჩემს საქმეში აფათურებ  
 მაგ გამხმარ ხელებს?.. ბატონო მოსა-  
 მართლენო, ეს კაცი ჩემი ქმარია...  
 ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, ისე ძლი-  
 ერო, რომ...

ოტელო (თავისთვის): — არც იმ-  
 დენად, მარა რას იხამ კაცი, როს  
 მდულარეში ჰკრავს ორთავ ფეხსა.

დეზდემონას მამა: — გოგო, რავე  
 უტიფრად ლაპარაკობ?! ამ სულიების  
 მაინც არ გრცხვინია? მარა ეხლან-  
 დელ ქალებს სადა გაქვთ სინდის-ნა-  
 მუსი... კისერი გიტეხია, შენთვის ვამ-  
 ბობდი, თორემ მე რა მენადვლება...  
 რაცა გინდოდეს აწ ის ჰქენი... ჯან-  
 დაბას იქით. (ოტელოს). თვალი ადე-  
 ვნე მაგას, სიძვე, ნუ მოაზოივებ. მამას  
 უმუხილა და უფროხილდი — შენც  
 არ გიმუხილდა.



სურათი მორაი

ოტელოს კარ-მიღამო

ოტელი (იავოს): — შენს მაგ გოგრაში ბაიუყუში ხომ არ ბუღობს?... „ეს მე არ მომწონს“... „ეს მე არ ვიცი“... და მას არ ამბობ, რა არ მოგწონს, რა არ იცი. მითხარ რაც იცი ჩემი ცოლის ცუდ ყოფაქცევებს შესახებ. საყვედურს კი არ,—მადლობას გეტყვი. ეგებ რაიმე შარი მოვსდოდ და მოვიშორო.

იავო (საქმეთა-მმართველი, სადაც ოტელი ვაზდდ არის): — რაღაც არ მომწონს, თქვენი ცოლი, რომ თქვენს თანაშემწეს ასე თამამად ელაპარაკება. თქვენ რომ დაგინახა თქვენმა თანაშემწემ უცბად მოშორდა თქვენს ცოლს. მე ხშირად ვხედავ უკარნახებს ის რემიგენტონზე და თანაც რაღაც ეშმაკურად ჩასცქერის მკერდში, რომელს დეკოლტე ღია აქვს და მოჭრილი დიდთ, გარდა ამისა, ცხვირსახოცი შენ რომ აჩუქე, ის დეზდემონამ მას აჩუქა და ეხლა მას აქვს. მასასადამე, აქ რაღაცა მგონი რომ არის.

ოტელი (აღტაცებით): — გავკეთდი კაცი! მოვიშორე ეგებ თავიდან. ფრთა შეკვეცილი ცოლის მიერ ისევე გავშალო. მერე, იავო, კიდევ რაიმე ხომ არ იცი?

იავო: — ერთი მითხარით, უწინ თქვენს ცოლს იცნობდა თუ არა?

ოტელი: — კი, როგორ არა!

იავო: — ჰა, სად ყოფილა დამარხული ძაღლისა თავი.

ოტელი: — მითხარ რაც იცი, ყოველივე, თორემ მაგ შენს თავს არ ეღირსება არც დამარხვა ძაღლის თავსადვით. მითხარი მეთქი, თორემ მოგხსნი სამსახურიდან.

იავო: — იმას ვამბობდი, თქვენმა ცოლმა თუ გთხოვა თქვენა იმის შესახებ.

ოტელი: — კი, კი მთხოვა.

იავო: — რაო?

ოტელი: — ფული არა აქვს გავლანგული, ტყვილათ მოხსენიო.

იავო: — მერე?

ოტელი: — და სამსახურში აღადგინე ისევე იავო.

იავო: — ჰა, აწ ყველაფერი ხელს გულზე მაქვს და ვიცი, როგორ გგონია ათ, როგორ, როგორ, ბატონო ვამგე! თუ ის ქოფაკი არა ეტრფის თავის გაბვის ცოლსა და...

ოტელი: — და პირიქითაც: დეზდემონა—იმ კაცის გლახას.

იავო: — დიად აგრეა, თუმც მცხვენოდა მე თქმა ამისი. ჰო - და აქ რაღაც ჭადრაკულად საქმეა მგონი.

ოტელი: — ნუ დამიძალავ, სთქვი რაც იცი, ჩემო იავო. და თუ მეღირსა ცოლთან გაყრა ასეთი შარით, — იკოდე, მაშინ მის ადგილზე მე შენ დაგნიშნავ ჩემს თანაშემწეთ.

იავო: — თქვენი ერთგული მუდამ ვიყავ, ვიქნები მუდამ... იმას ვამბობდი, რომ ჩუმიდ კონცა მხოლოდ ერთ ხელ...

ოტელი: — კონცა, რომელიც აქ ჩაძალულია.

იავო: — ან ერთ საათს, თუ მეტს, ლოგინში თავის მეგობართან თუნდ შიშვალადაც ერთად დაწოლა ცუდის რამ ზრახვის უქონლად...

ოტელი: — თქო! ჰაა, უკვე გათავებულა ყველაფერი. ცუდი ზრახვის უქონლად, ვიქი ხომ არა ხარ? ჯირკი ხომ არ არის კაცი! მორჩა, გათავდა. ოტელის ჩარხი ისევე წაღმა შემოტრიალდა. მიზეზს ვიშოვნი, გავეყრები, უაღმენტოდ. იო, ვამჩინო, მამაშორე ცოლის უღელი. ო, მალე მინდა გასაყრელად წავიდეთ ზაგში, ჩემო იავოვ თანაშემწევე და მოადგილე.

იავო (თავისთვის): — მე აღმისრულდა დიდხნის ნატვრა, ჩემი მიზანი... რას ბრძანებ მაგას! ვარ პატარა საქმეთ-მმართველი...

ოტელი: — არა, დღეიდან თანაშემწე ხარ ჩემი, იავო... მაგრამ ჯერ კიდევ შეველა მინდა შენგან მრავალი. როგორ დავიწყო, ან საიდან, რა შარი მოვსდოდ?

იავო: — ეგ ადვილია. როცა მოვა, და კიდევ მოდის... ასე უთხარი: „თავი მტკივა და შესაკრავად ცხვირსახოცი მომეცი“—თქო.

ოტელი: — ყოჩაღ იავო. რა ჭკვიანი ხოფილხარ, თანაც მოხერხებული; მე თორემ ვერ გიცნობდი. ამდენხანს უნდა დამეჩინებე ჩემს თანაშემწეთ.

იავო: — უკვე დრო არის, რომ წავიდე. (მიდის).

ოტელი: — წადი, არ ვნახოს დეზდემონამ, ჩემთან რომ იყავ.

დეზდემონა: — კაცი, სადა ხარ შენ? სად დაიკარგე?

ოტელი: — რაო, რა გინდა?

დეზდემონა: — რა მინდა, და რა გააჭირვე კაცი, საქმე! მუშგლხინს ხომ არ მოუხსნია შენი თანაშემწე კასიო? ისევე თქვენმა რევიზიამ მოხსნა. ალაღვინე ისევე. ორი ათასი მა-

ნეთი რომც აკლდეს და გავლანგული ჰქონდეს, ეს არაფერია. ჩტო ტაკოე, დვე ტისიჩ რუბლემი ბოლშოია სუშმა!

ოტელი: — თუმც მონაწილე შენ ხარ მისი, მაგრამ დამცველად ვერ გამოდგები.

დეზდემონა: — რაო! რას ამბობ!

ოტელი: — შენთან დახარჯა, შენ შევაჭამა ეგ ფული მან, თუ სხვებთანაც კიდევ?

დეზდემონა: — ხომ არ გაგიუდი, შენ ოტელი, რაებსა ბოდავ!

ოტელი: — დიად მე ვბოდავ, ვბოდავ მიტომ, რომ სიცხე მაქვს თავში... ჰო, მართლა, ქალო, თავი მტკივა; მომეცი შესაკონავად ის ჩეჩინჩის ცხვირსახოცი, აი მე რომ შენ გაჩუქე.

დეზდემონა: — თუ თავი გტკივა სველი ტილოთ სჯობია შეკვრა.

ოტელი: — არა ის მინდა. ცხვირსაც უნდა მოხოცვა ხშირად: აქ მთო მიტანე, დეზდემონა, ის ცხვირსახოცი.

დეზდემონა: ის დამეკარგა.

ოტელი: — აწ აშკარაა ყოველივე, კი არ დაჰკარგე, ის შენ აჩუქე შენსა კუროს ჩემს თანაშემწეს. ვიცი, მე ვიცი, აწ ჩვენს შორის გათავდა ყველაფერი. შენ უნამუსო, შენა. (ცხვირში მუშტსა ჰკრავს).

დეზდემონა: — ვირო, მუტრუკა. შენ გგონია უბატრონო ვარ?

ოტელი: — არა მგონია! შენ გყავს ბატრონი და შეიძლება არა ერთი, ბევრი, მრავალი. პირველი ნათში აღბად ჩემი ყოფილი თანაშემწე და ეხლანდელი უმუშევარი კასიო.

დეზდემონა: — შენ რომ გგონია, ვერც ისე ადვილად მომიშორებ. ალო მენტს დაგაყუჭვინებ.

ოტელი: — თუმცა კანონათ აღმენტი შენ არ გეკუთვნის, მაგრამ დვანაც შენ გიმორებ აწ სამუდამოდ, უარსაც არა ვამბობ აღმენტის გაღახდაზვდა.

ისმელი.

ერთგული რჩევა



კარლანახის ფოსტა — დეპეშა მინდა ტფილისში გავგზავნო! თუ საჩქარო ამბავია, გირჩევთ წერილი გავგზავნო!



# ფოსტა

**ხლოკუშას.** თუ ბიჭობა ტყე-შელაშვილი, როგორც თქვენ იწერებთ, „სკცმს გლეხს“, ფულსებს ასესხებს, როგორც მეფასზე, გლეხებში მონაკრებ ფულს ფლანგავს, ყოფილ თავადს, წულუკიძის თავის თავს ადაკრებს, ხოლო პარტიულ მანდრეს კი მაინც ატარებს, ცხადია, ეს „მაინც“ ივნისის იქით მაინც ვეღარ გაგრძელდება, რადგან განკითხვის უამრავი პარტი წმენდის, სახით, მოახლოებულია სწორედ ამ დროისათვის.

**გულვაშას.** თქვენი ლექსის: „მღვდელი და გლეხი“ ს ბოლოში ორი თხოვნაა: ერთი—დაგბეჭდოთ აღნიშნული ლექსი, ხოლო მეორე—თუ დაბეჭდვის ღირსად ლექსი ვერა ვსტნათ, „ცნობადა მიღება“-ში მაინც მოვათავსოთ ამის შესახებ. როგორც ხედავთ, ვასრულებთ მეორე თხოვნას. არ იფიქროთ, რომ ამით მღვდელს ვსწყალობდეთ, პროზათ რომ ყოფილიყო დაწერილი, ვინ იცის, იქნება მოგვეთავსებინა.

**მუსუსს.** შერმაინდინ და ნიკიფორე თუ თვითონ შეექცევიან ბანკის მიერ გლეხებისაგან შენასყიდ კვერცხებს, კარგსაც შერებიან: ბანკის ის კვერცხები, ალბად, სხვაგან უნდა წილი ვასასყიდათ, იქაც ხომ იმასვე დამართებდნენ აღნიშნულ კვერცხებს, რასაც მანდვე შერმაინდინ და ნიკიფორე დღეს აყენებენ? მაშასადამე, გლეხებისათვის ეს თითქმის სულ ერთია, უფრო კი მათი სიმპატი ადგილობრივ კვერცხების მხარეზე იქნება; ხომ გავიგონია: „ლუკმა ვეგარდეს, ჯამში ჩავარდეს“? ამ შემთხვევაში კი არა, მთელ ორ უძირო ბოკაშიც ვივა, როგორც თვითონ გლეხებიც რწმუნდებიან ამაში.

დიან, მართალი ხართ თქვენ: ცილელული საჭმელი კაცს ძალიანა რეებს!

**ლადიკელას.** თქვენი „როგორ გვეითენ ადღვომა“ რომ წავიკითხეთ, თავს შევეკითხეთ, რადგან თქვენ, საბედნიეროდ, ჩვენს ახლო ამ დროს და არც არასოდეს არ იყავით, ანეტავი, ზომანზე მეტი სიტყვით ხომ არ არის ჯერჯერობით ჩამოწოლილი თქვა?

თავმა ვიგრიჩა ტერმინოლოგიისათვის მიგვემართა, მაგრამ, სამწუხაროთ, არც ახლა აღმოჩნდით თქვენ ჩვენს ახლოს.

**ოლოლს.** ოლოლი თქვენ რომ ვერ გვაცდინებ და თქვენი ჭოლოკის სიგრიძე ლექსი ვერ დაგვაბეჭდვინებ „ტარტაროში“.

მაგრამ ამ მეორე ლექსში მოსაწონი ადგილიც არის. აი, ისიც: „უბოხა აქვს სასადილო, სადაც არის გამგეთ ივა, ორ კვირაში მან გაქაფა ახ ცხრაფული ეპოს თივა“.

თუ ასეთი ინტენსიური თივისმჭამელები ჰყავს ეპოს სასადილოს, ცხადია, ეპოს გამგეობაც იყოლება, ხოლო ამ გამგეობას თავისი თავმჯდომარეც. ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი „შორათ კვდომა“, შორათ ბნელა“ იმ ვაიცეპის გამო, თუ რამდენი თივა უნდა იყუკუ ასეთი ეპოს თავმჯდომარის თავში, რათა ეს უკანასკნელი პირნათლად გასწვდეს ყველა თავის ხელქვეით — თანამშრომლებს!.

**ტარიელს.** თქვენ ასე იწყებთ თქვენს წერილს: „ჩემი მგოსნობა“.

„როდესაც პირველად ჯღაბნა დავიწყე, მეგონა ჩემი თავი ბაირონი“-ო.

ეს არაფერია. „პირველი ცოცხი მუღამ ვარგათ ჰვეს“. თქვენ ისა სთქვით, თუ ახლანდელ თქვენს ჯღაბნას რას უწოდებთ: ასცილდებით თუ არა ბაირონი? ხომ იცით, ამჟამად სხვადასხვა ბუშტების სეზონია (ფერადი ბუშტების!), მათ შორის — საპნის ბუშტებისაც.

ამ ჩვენს აზრს ზედმიწევნით ამტკიცებს სხვათა შორის თქვენი შემდეგი ლექსებიც: „მგოსანი“ და „ახალი სურათი“.

**„პიონარს“.** თქვენ, როგორც პიონერი, მუღამ „მზად“ უნდა იყვეთ ასეთი შემთხვევისათვის, როგორცაც თქვენს ლექსში ავციფერთ. მუღამ მზად ყოფნა კი იმას ნიშნავს, რომ მსგავს მეფურისაგან უარესსაც უნდა მოელოდეთ, მხოლოდ მაშინა ორგანოები ხომ მანდვე გაქვთ, ალბათ, ცხვირის წინვე. სრულიად უბრალო განცხადება ვეყოფათ ამისთვის, განებათ—ზეპირიც, ვიდრე სწეროთ გრძელი და უწნო ლექსები, ხოლო ისიც ასე უშედეგოთ.

## მსუბუქ კავალერისტს.

დონიმი ფრიად დროული ავილიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვეღარ ვიხსენებ თქვენს შარადაში არა თუ შარათა არა მსუბუქეს, ცოტა მეტ რამესაც ირინთ, როცა პარტიის გენერალურ მდივნის გვერდით გვიყვებთ ვიღაც მიკიტანს. ასეთ კონტექსტით შარადა კარა, მეგრული „ვარადაც“ არ ვარგა, ჩემო კეთილო!

**ლაპარტს.** თუ ბანკიდან გამოტანილ ფულს სოფლებში იქვე სტოვებენ, რესტორანში, ეს მეტად სამწუხარო ამბავი ავლოთ და უბრალოთ მოგეწერათ, კონკრეტული შემთხვევის დასახელებით; თორემ რას გავს ეს ამოდენა ლექსი და ისიც ასეთი ოკრო-ბოკრო. იწერებით:

**„მთავრობები გააღვიძე, ასეთნი რომ გაასწოროს“-ო.** რომელ მთავრობებზე ლაპარაკობთ? ჩვენ ერთად ერთი მთავრობა გვყავს, საბჭოთა მთავრობა, რომლის სიღბისთვის თქვენი კოჭლი მოწოდება ძილს კი არ ვაუფრობობს, არამედ სწორედ ღვიძილს დაუყენებს მეტად ცუდ გუნებაზე.

**ჩინტი-კოპს** ჩინტი-კოპი კი არა პარტიის უკანასკნელი მოდის შლაპაც რომ დაიხუროთ, მაინც ვერ ვალამაზდებით, რადგან თქვენს ლექსზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ანდაზა: „საქონელი პატრონს ემსგავსება“-ო. ან კიდევ — „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებს“-ო. არა, რა ფუნქცილიორზე ასატანი იყო თქვენს ანდრიას და შურას ამბავი? ასეთებმა ამჟამად მეგავიეებს სწორედ სწინააღმდეგო მიმართულებით მიაქვთ და იცით, სად ჰყრიან?—მადათოვის კუნძულის თავში.

## ზეცაც კი დაფრთხა

სად. ბათუმის მოღარე ნიკო ჯორჯიკია ყვირილის უსტაბაშია. ხელებს დაარტყამს მაგიდას, ხმა მისი ადის ცაშია. „აჭარის კლდე“.



**ღმერთი:** — რა ამბავია?! მიწიდან საშინელი ყვირილი ისმის!  
**ანგელოზი:** — ნუ შეშინდებით! არაფერია, ალბად ნიკო ჯორჯიკია უყვირის სხვილი!



# ყოველი უგნებელი ეუროპელი

უნდა იხერჯოს და კითხულთაღოს თავის

გაზ. „მ უ უ ა“-ს

და მის დამატებას—ყოველკვირეულს, საქართველოში ერთად-  
ერთ იუმორისტულ ჟურ. „ტარტაროზ“-ს

**== თვიურად ღირს: ==**

**მუშა 50 კ. მარტინიანი-თ 70 კ.**

უკვე დაიწყო და გრძელდება

## ივნისისათვის ხელისმომწერს

ტფილისში ხელისმომწერა მიიღება

გაზ. „მ უ უ ა“-ს მთავარ კანტორაში

ჯორჯიაშილის ქ. № 6.

პროვინციებში—მთავარ კანტორის რწმუნებულებთან და  
განყოფილებაში

იჩქარეთ ხელის მოწერისათვის

არ დარჩეთ უგაზეთოთ ივნისში





# პირველი „დებიუტი“ ა.-კ. ხალხთა კულტურულ-ერთიანობის ფრონტზე



და „შანხაიტი“ ვინ დელეგაცია დიდს ავგითაჯარსა ავგობიჯანის ვარგოვანელთა ვი. ნაშე.

ინჟინერი მთლიანად მისი საქმისთვის